n 40/6
2ლ

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო თქვენს სამსახურშია!

უძრავი ქონების რეგისტრაციისათვის მიმართეთ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურებს.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
თბილისი, წმ.ნიკოლოზის/ნ.ჩხეიძის ქ.№2
ტელ.: 91 17 92
ელ-ფოსტა: info@napr.gov.ge
www.napr.gov.ge

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო



## რეფორმით მიღებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია

1. მოქალაქეებმა, რომლებსაც რეფორმის კომისიის მიერ გადაცემულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე არ გააჩნიათ მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტი, საკუთრების უფლების რეგისტრაციისათვის სარეგისტრაციო სამსახურში უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

### თუ მოქალაქე პირადად აწარმოებს ურთიერთობას სარეგისტრაციო სამსახურთან:

ა ) განცხადება;

ბ ) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი;

გ ) ადგილობრივი საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის მიერ გაცემული საკუთრების უფლების მოწმობა;

დ) ადგილობრივი საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის ბეჭდით დამოწმებული საკადასტრო აზომვითი ნახაზი;

ე ) სარეგისტრაციო მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

### თუ მოქალაქე წარმომადგენლის მეშვეობით აწარმოებს ურთიერთობას სარეგისტრაციო სამსახურთან, დამატებით უნდა წარმოადგინოს:

ა ) წარმომადგენლის პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი;

ბ ) ნოტარიულად გაფორმებული მინდობილობა. იმ შემთხვევაში, თუ მინდობილობა გაფორმებულია უცხო ქვეყანაში, მაშინ საჭიროა მინდობილობის დადგენილი წესით ლეგალიზება იმ ქვეყანაში არსებული საქართველოს საკონსულოს მიერ.

2. მოქალაქეებმა, რომლებსაც რეფორმის კომისიის მიერ გადაცემულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე გააჩნიათ მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტი, საკუთრების უფლების რეგისტრაციისათვის სარეგისტრაციო სამსახურში უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

### თუ მოქალაქე პირადად აწარმოებს ურთიერთობას სარეგისტრაციო სამსახურთან:

ა) განცხადება;

ბ) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი;

გ) მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტი;

დ) მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზი;

ე) სარეგისტრაციო მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

### თუ მოქალაქე წარმომადგენლის მეშვეობით აწარმოებს ურთიერთობას სარეგისტრაციო სამსახურთან, დამატებით უნდა წარმოადგინოს:

ა) წარმომადგენლის პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი;

ბ) ნოტარიულად გაფორმებული მინდობილობა.

იმ შემთხვევაში, თუ მინდობილობა გაფორმებულია უცხო ქვეყანაში, მაშინ საჭიროა მინდობილობის დადგენილი წესით ლეგალიზება იმ ქვეყანაში არსებული საქართველოს საკონსულოს მიერ.

### რეგისტრაციის ვადა და საფასური:
### 4 სამუშაო დღე – 50 ლარი.

რეგისტრაციის ვადის ათვლა იწყება განცხადების რეგისტრაციის მომდევნო დღეს და მთავრდება ვადის ბოლო დღის გასვლასთან ერთად.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## საკარმიდამო მიწებზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია

მოქალაქეებმა მათ კანონიერ სარგებლობაში არსებულ სასოფლო და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე - საკარმიდამო მიწებზე (მიუხედავად იმისა, სოფლად არის თუ ქალაქად), რომლებზედაც ინდივიდუალური სახლებია განლაგებული, საკუთრების უფლების რეგისტრაციისათვის სარეგისტრაციო სამსახურში უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

1. იმ შემთხვევაში, თუ ტექნიკური აღრიცხვის არქივში მიწის ნაკვეთი (შენობა-ნაგებობა) აღრიცხულია საკუთრების ან სარგებლობის უფლებით:

### თუ მოქალაქე პირადად აწარმოებს ურთიერთობას სარეგისტრაციო სამსახურთან

ა) განცხადება;

ბ) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი;

გ) ტექნიკური აღრიცხვის არქივიდან გაცემული ცნობა-დახასიათება;

დ) მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზი;

ე) სარეგისტრაციო მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

### თუ მოქალაქე წარმომადგენლის მეშვეობით აწარმოებს ურთიერთობას სარეგისტრაციო სამსახურთან, დამატებით უნდა წარმოადგინოს:

ა) წარმომადგენლის პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი;

ბ) ნოტარიულად გაფორმებული მინდობილობა.

იმ შემთხვევაში, თუ მინდობილობა გაფორმებულია უცხო ქვეყანაში, მაშინ საჭიროა მინდობილობის დადგენილი წესით ლეგალიზება იმ ქვეყანაში არსებული საქართველოს საკონსულოს მიერ.

2. იმ შემთხვევაში, თუ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საკარმიდამო ნაკვეთი (შენობა-ნაგებობა) ტექნიკური აღრიცხვის არქივში აღრიცხული საკუთრების ან სარგებლობის უფლებით, საკუთრების უფლების რეგისტრაციისათვის სარეგისტრაციო სამსახურში უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

**თუ მოქალაქე პირადად აწარმოებს ურთიერთობას სარეგისტრაციო სამსახურთან:**

ა) განცხადება;

ბ) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი;

გ) ადგილობრივი საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის მიერ გაცემული საკუთრების უფლების მოწმობა;

დ) ადგილობრივი საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის ბეჭდით დამოწმებული საკადასტრო აზომვითი ნახაზი;

ე) სარეგისტრაციო მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

**თუ მოქალაქე წარმომადგენლის მეშვეობით აწარმოებს ურთიერთობას სარეგისტრაციო სამსახურთან, დამატებით უნდა წარმოადგინოს:**

ა) წარმომადგენლის პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი;

ბ) ნოტარიულად გაფორმებული მინდობილობა.

იმ შემთხვევაში, თუ მინდობილობა გაფორმებულია უცხო ქვეყანაში, მაშინ საჭიროა მინდობილობის დადგენილი წესით ლეგალიზება იმ ქვეყანაში არსებული საქართველოს საკონსულოს მიერ.

## რეგისტრაციის ვადა და საფასური:
## 4 სამუშაო დღე - 50 ლარი.

რეგისტრაციის ვადის ათვლა იწყება განცხადების რეგისტრაციის მომდევნო დღეს და მთავრდება ვადის ბოლო დღის გასვლასთან ერთად.